დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯის „კონსტრუქტ2" მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: მანანა მახარაშვილი
წევრები: ელენე კაკაბაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სამშენებლო კოლეჯი „კონსტრუქტ2"**
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი**
საიდენტიფიკაციო კოდი: **430035874**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

- ☐ **გეგმიური**
- ☒ **არაგეგმიური**
- ☐ **საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯში ,,კონსტრუქტ2" (შემდეგში „დაწესებულება“) ვიზიტი განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითრების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 24 ივლისის ბრძანების MES 9 24 0000899778 საფუძველზე.

ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა, დაწესებულების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის დ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის დ.ა); დ.ბ) და ე) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ე.ა) და ე.ბ) კომპონენტების შესრულების შემოწმება, მისამართზე: ქალაქი ახალციხე, ვალე, სტალინის ქუჩა N 18. არაგეგმიური მონიტორინგი განხორციელდა 2024 წლის 2 აგვისტოს, ექსპერტთა ჯგუფის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტების: მანანა მახარაშვილის (თავმჯდომარე) და ელენე კაკაბაძის შემადგენლობით.

მონიტორინგის ფარგლებში, განხორციელდა ვიზიტი დაწესებულების ახალ მისამართზე. ვიზიტის დროს მიმდინარეობდა დაწესებულებისთვის გადაცემული უძრავი ქონების სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები. მიმდინარე სამუშაოების და მათი შესრულების ვადების შესახებ განმარტებები გააკეთეს დაწესებულების დამფუძნებელი კომპანიის „ბკ კონსტრაქშენის“ წარმომადგენელმა და კოლეჯის „კონსტრუქტ2“ დირექტორმა. სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებიდან გამომდინარე, ვიზიტი გაგრძელდა ახალციხის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში (მისამართი: ახალციხე, თამარ მეფის შესახვევი 11), სადაც შედგა დაწესებულების პერსონალთან გასაუბრება და დოკუმენტაციის გაცნობა. ვიზიტის დროს შეფასდა ბრძანებითა და დღის წესრიგით დაგეგმილი ყველა კომპონენტი.

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

-

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
1.1) პსდ-ს მისია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4) ადამიანური რესურსები	**☐ შეესაბამება** **■ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☐ შეესაბამება** **■ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.2) საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.3) ფინანსური რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, ასახოთ **ყველა ხარვეზი** (სტანდარტის შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.*

ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას - ინდიკატორები: პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული (1), პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას (2) - **არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ექსპერტების მიერ კრიტერიუმი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.**

შესაბამისობის რეკომენდაცია: პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებისა და დასახული მიზნების მისაღწევად, დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით დაგეგმილ ვადებში უზრუნველყოს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული საშტატო განრიგის შესაბამისად მისამართზე პერსონალის შერჩევა/დაკომპლექტება. ღონისძიებების გატარება დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადების დაცვით, არა უგვიანეს 2024 წლის 20 ნოემბრისა.

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას - პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას (3) - **არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ექსპერტების მიერ კრიტერიუმი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.**

4.1.3 შესაბამისობის რეკომენდაცია: დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში განახორციელოს პერსონალის შერჩევა/დაკონტრაქტება და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის უზრუნველყოფა. შესაბამისობის გეგმით დაგეგმილი ამოცანების შესრულებისთვის განსაზღვრული ვადაა 20.11.2024 წ.

სტანდარტი 5. მატერიალური რესურსი

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას - ინდიკატორები: „დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით (1), „დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის (2)“ „დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები“ (3), „შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით (4), „დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები“ (5), „ დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები (6), „პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის (8), „ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა (9), „სათავსებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას (10), „მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად (11) - **არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ექსპერტების მიერ კრიტერიუმი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.**

შესაბამისობის რეკომენდაცია: დაწესებულებამ უზრუნველყოს ახალ მისამართზე (ქალაქი ახალციხე, ვალე, სტალინის ქუჩა N 18) საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული საქმინობისთვის ინფრასტრუქტურის, მ.შ. ინკლუზიური გარემოს მოწყობა და მისი აღჭურვა მინიმუმ ავტორიზაციის ვადით. ასევე უზრუნველყოფილი იქნეს მატერიალური რესურსით და ინფრასტრუქტურით შეუზღუდავი სარგებლობის მექანიზმები, ინფრასტრუქტურის (სასწავლო-სამუშაო და დამხმარე სივრცეები, სანიტარული კვანძები), საბიბლიოთეკო, სანიტარული-ჰიგიენური და შრომის უსაფრთხოების საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობა. აღნიშნული ღონისძიებების გატარება დაწესებულებამ უზრუნველყოს **საგრანტო ხელშეკრულებისა და ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმების, ასევე შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადების დაცვით, არა უგვიანეს 2024 წლის 20 ნოემბრისა.**

ინდიკატორი 5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება - ინდიკატორები: „დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების“ (1), „დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები“ (2), „დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი“ (3) და „დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას“ (4) - **არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ექსპერტების მიერ კრიტერიუმი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.**
დაწესებულებამ უზრუნველყოს ახალ მისამართზე (ქალაქი ახალციხე, ვალე, სტალინის ქუჩა N 18) მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში უსაფრთხოების ზომებისა და წესრიგის დაცვა. ასევე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისა და მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმის დანერგვა-რეალიზება. აღნიშნული ღონისძიებების დაკმაყოფილება დაწესებულებამ უზრუნველყოს საგრანტო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელშეკრულებისა და ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმების, ასევე შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადების დაცვით, არა უგვიანეს 2024 წლის 20 ნოემბრისა.

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას - ინდიკატორები: „პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს“ (1), „პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას“ (2) დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას (3), „პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას“ (4), „პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება“ (5), „პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით (6) - **არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ექსპერტების მიერ კრიტერიუმი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.**

დაწესებულებამ უზრუნველყოს ახალ მისამართზე IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შესაბამისობა დაწესებულების პროცესებთან. ასევე დანერგოს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები, დადგენილ ვადებში აყვანილი იქნეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის, ხელმისაწვდომობის, ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმებისა და პროცედურების დანერგვა. აღნიშნული ღონისძიებების დაკმაყოფილება დაწესებულებამ უზრუნველყოს საგრანტო ხელშეკრულებისა და ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმების, ასევე შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადების დაცვით, არა უგვიანეს 2024 წლის 20 ნოემბრისა.

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად - ინდიკატორები: „პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი“ (1), „პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის“ (2), „პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას“ (3), „პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან“ (4) - **არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ექსპერტების მიერ კრიტერიუმი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.**

დაწესებულებამ უზრუნველყოს ახალ მისამართზე კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესისა და თანამედროვე ტექნოლოგიების, ასევე ანგარიშგებისა და უკუკავშირის სისტემის დანერგვა/ამოქმედება. აღნიშნული ღონისძიებების დაკმაყოფილება დაწესებულებამ უზრუნველყოს საგრანტო ხელშეკრულებისა და ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმების, ასევე შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადების დაცვით, არა უგვიანეს 2024 წლის 20 ნოემბრისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას - ინდიკატორი „საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად“ (6) - **არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ექსპერტების მიერ კრიტერიუმი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.**
დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისი საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირის საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად გამოყენების მექანიზმებისა დანერგვა ახალ მისამართზე. აღნიშნული ღონისძიებების გატარება უზრუნველყოს საგრანტო ხელშეკრულებისა და ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმების, ასევე შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადების დაცვით, არა უგვიანეს 2024 წლის 20 ნოემბრისა.

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ა. გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა I, III, IV და V სტანდარტებთან მიმართებით, განსავითარებლად და პროცესების უკეთ წარმართვის უზრუნველსაყოფად, შესაძლებლობის შემთხვევაში სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.

5.1.1. (11) - **მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად - რეკომენდაცია:** ბიბლიოთეკით სარგებლობისა და სასწავლო პროცესის ეფექტურად და შეუფერხებლად მართვისთვის, სასურველია ბიბლიოთეკარის ფუნქციები დაევალოს სხვა პირს ან აყვანილი იქნას ახალი პერსონალი. ამასთან ახალ მისამართზე ბიბლიოთეკარისთვის, ან შეთავსებით ფუნქცია მოვალეობების შემსრულებელი პერსონალისთვის, განხორციელდეს შესაბამისი სწავლება/მომზადება.

5.2.2. (1) პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი - რეკომენდაცია: სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს საქმეთა ნომენკლატურის, დოკუმენტის შეთანხმებისა და დამტკიცების გრიფების გაფორმება საქართველოს პრეზიდენტის #414 ბრძანებულების 46-ე მუხლის მე-3 პუნქტია „ბ“ ქვეპუნქტის და ამავე ბრძანებულების მე-7 დანართის შესაბამისად. ასევე, დოკუმენტის გამოცემისას დაცული იქნეს ბრძანებულების 48-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნები და დოკუმენტის გამოცემა უზრუნველყოფილი იქნეს ყოველი კალენდარული წლის ბოლოს.

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

1.პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.

ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ ,,კონსტრუქტ2ის'' დირექტორის 2024 წლის 22 ივლისის N 891241 ბრძანებით დამტკიცებულია ახალციხის მუნიციპალიტეტის მისამართზე თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები, რომლის თანახმად, კოლეჯის ახალ მისამართზე საგანმანათლებლო საქმიანობა ხორციელდება ცენტრალიზებულად ანუ ზესტაფონის მისამართზე არსებული მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების მიერ და ადგილზე გამოყოფილია ორი პოზიცია - „ლოკალური მენეჯერის“ და „სასწავლო პროცესის და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერის“. ლოკალური მენეჯერის უშუალო ხელმძღვანელია დირექტორის მოადგილე (სამუშაო ადგილი ქ. ზესტაფონი), ხოლო დაქვემდებარებული პერსონალია: მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის და ლოგისტიკის მენეჯერი, სასწავლო პროცესის და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი, შრომის დაცვის და ტექნიკური უსაფრთხოების მენეჯერი, საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯერი, ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი. სასწავლო პროცესის და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერის უშუალო ხელმძღვანელია ლოკალური მენეჯერი. მას არ ჰყავს დაქვემდებარებული პერსონალი.

აღნიშნული ლოკალური და სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერების გარდა ამ ეტაპისთვის დაწესებულებას პერსონალი შერჩეული არ ჰყავს, თუმცა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და სამეთვალყურეო საბჭოსგან მიღებული აქვს დამტკიცებული საშტატო ნუსხა. სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, პერსონალის შერჩევა განხორციელდება და შესაბამისი სახელფასო ანაზღაურებისთვის ბიუჯეტი გამოიყოფა, ახალციხის მისამართზე ავტორიზაციის მოპოვების შემდეგ.

სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია დაწესებულების თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობებში. დაწესებულებას აღნიშნული კომპონენტი შეფასებული აქვს „მეტწილად“, შესაბამისად შემუშავებული აქვს შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გაწერილია: დაწყების სავარაუდო თარიღი (15.07.2024 წ.), დასრულების სავარაუდო თარიღი (20.11.2024 წ.), დრო (თვეებში), შეფასების მომენტიდან დასრულებამდე (4 თვე), პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული და შემსრულებელი (ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი), სხვა ჩართული მხარეები გარდა დაწესებულებისა (განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ საშტატო ნუსხის დოკუმენტის დამტკიცება), შესრულების ინდიკატორები (დამტკიცებული საშტატო ნუსხა), დადასტურების წყარო (საშტატო ნუსხის დოკუმენტი), რისკის დადგომის ალბათობა, რაც შეფასებული აქვს 10 % -ით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიუხედავად იმისა, რომ პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები დოკუმენტირებულია და განსაზღვრულია, ამ ეტაპისთვის დაწესებულების სტრუქტურა/პერსონალი ვერ უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას. შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება დაწესებულების სტრუქტურულ ერთეულების/პერსონალის მიერ დასახული მიზნების მიღწევა. შესაბამისობის გეგმით დაგეგმილი ამოცანების შესრულებისთვის განსაზღვრული ვადაა 20.11.2024 წ. არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ექსპერტების მიერ ინდიკატორი შეფასდა „მეტწილი" შესაბამისობით

2.პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „ახალციხის მუნიციპალიტეტის მისამართზე თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები", რომელშიც გაწერილია: ლოკალური მენეჯერის, მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის და ლოგისტიკის მენეჯერის, სასწავლო პროცესის და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერის, ზრდასრულთა განათლების კოორდინატორის, შრომის დაცვის და ტექნიკური უსაფრთხოების მენეჯერის, საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯერის, დამხმარე თანამშრომელის, დაცვის თანამშრომელის, დამლაგებლის, მეეზოვის, საერთო საცხოვრებლის ადმინისტრატორის, საერთო საცხოვრებლის მორიგის ფუნქციები, სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

თუმცა ამ ეტაპისთვის დაწესებულებას ახალ მისამართზე შერჩეული ჰყავს მხოლოდ 2 პირი. პერსონალის შერჩევა განხორციელდება დაწესებულების ახლი მისამართისა და საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის შემდეგ (იხ. 4.1.1 (1) ინდიკატორის აღწერა).

შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იქნება დაწესებულების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება, რაც ხელს შეუწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას. შესაბამისობის გეგმით დაგეგმილი ამოცანების შესრულებისთვის განსაზღვრული ვადაა 20.11.2024 წ. არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ექსპერტების მიერ ინდიკატორი შეფასდა „მეტწილი" შესაბამისობით

3.პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ ,,კონსტრუქტ2"-ის დირექტორის 2024 წლის 22 ივლისის N893819 ბრძანებით დამტკიცებულია „თანამდებობრივი დებულება", რომელშიც გაწერილია ხარისხის მართვის მენეჯერის ფუნქციები დაწესებულების ზესტაფონისა და ახალციხის მუნიციპალიტეტების მისამართებზე. ხარისხის მართვის მენეჯერის ფუნქციებია: დაწესებულების ხარისხის შიდა და გარე სისტემების ჩამოყალიბება და მართვა; შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება სასწავლო პროცესის ხარისხის სისტემური სრულყოფის, სწავლების მეთოდებისა და რესურსების, აგრეთვე, პერსონალის კვალიფიკაციის ხარისხის სისტემატური შეფასების განვითარება-განახლების მიზნით; ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დადგენილი გარე და, არსებობის შემთხვევაში, შიდა სტანდარტების მოთხოვნათა ინტერპრეტაცია, პერსონალის კონსულტირება აღნიშნულ საკითხებში და დაწესებულების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო, ფინანსური რესურსების და დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების აღნიშნულ სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგი და შეფასება; მონაწილეობის მიღება დაწესებულების მისიის, სტრატეგიული და წლიური სამოქმედო გეგმების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემუშავების პროცესში; კომპეტენციის ფარგლებში დაწესებულების ავტორიზაციისა და თვითშეფასების პროცესში მონაწილეობა; კომპეტენციის ფარგლებში წინადადებების ინიცირება და მენეჯმენტთან წარდგენა.

კოლეჯს დირექტორის 2020 წლის 30 ოქტომბრის N1052327 ბრძანებით დამტკიცებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლის თანახმად, სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველყოფისათვის გამოიყენება შიდა და გარე მექანიზმები, რომელთა მიზანია სწავლების ხარისხის მუდმივი მონიტორინგი, განვითარება და სრულყოფა. სწავლების ხარისხის შეფასების ციკლი შედგება: „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“ ეტაპებისგან.

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ ახალციხის მისამართზე ცალკე არ მოიაზრება ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელი პირი და აღნიშნული განხორციელდება ცენტრალიზებულად ზესტაფონის მისამართზე მყოფი ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ.

დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება ხარისხის მართვის მენეჯერის გეგმის შესაბამისად და არ არის გადაკვეთა და ინტერესთა კონფლიქტი სასაწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირის საქმიანობასთან, რაც ასევე დასტურდება ხარისხის მართვის მენეჯერსა და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ ,,კონსტრუქტ2ის'' დირექტორის 2024 წლის 22 ივლისის N 891241 ბრძანებით დამტკიცებული „ახალციხის მუნიციპალიტეტის მისამართზე თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები“;
2. ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ ,,კონსტრუქტ2ის'' დირექტორის 2024 წლის 22 ივლისის N893819 ბრძანებით დამტკიცებული „თანამდებობრივი დებულება“;
3. კოლეჯს დირექტორის 2020 წლის 30 ოქტომბრის N 1052327 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
4. ხარისხის მართვის მენეჯერის 2024 წლის სამოქმედო გეგმა;
5. დაწესებულების კორესპონდენცია #612494, (03.06.2024)#800354 (03.07.2024);
6. საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს კორესპონდენცია #844354 (10.07.2024)
7. ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯის „კონსტრუქტ2“ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი #3 (19.07.2024
8. შესაბამისობის გეგმა;
9. დაწესებულების პერსონალთან გასაუბრების შედეგები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.

კოლეჯის ახალციხის მისამართზე პერსონალის მართვა განხორციელდება მოქმედი შრომის კანონმდებლობით, შინაგანაწესით და დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 14 ივლისის N804156 ბრძანებით დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით, რომელშიც გაწერილია: პერსონალის შერჩევის პროცესები, მეთოდები, ეტაპები, კონკურსის ჩატარების წესი, კონკურსის მიზნები, ამოცანები და პრინციპები, კონკურსის ჩატარების პროცედურა, საკონკურსო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი და კონკურსის შედეგები, და კონკურსის შედეგების გასაჩივრება. დაწესებულების შინაგანაწესი შემუშავებულია საქართველოს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად და განსაზღვრულია დასაქმებულთა შრომის პირობები, შრომითი ვალდებულებები და მათთან დაკავშირებული წახალისებისა და სანქციების გამოყენების წესი.

კოლეჯის მიერ შემუშავებული დოკუმენტებით დასტურდება, რომ ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით.**

კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 14 ივლისის N804156 ბრძანებით დამტკიცებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის თანახმად, შერჩევის პროცესი წარიმართება ორი მიმართულების პერსონალისთვის: დაწესებულების ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალისთვის.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალს წარმოადგენს ყველა ის პირი, რომელიც თავიანთ ფუნქცია-მოვალეობებს ორგანიზაციის მიზნებისა და საქმიანობის მიმართულების შესაბამისად ასრულებენ საშტატო ერთეულით გათვალისწინებულ თანამდებობებზე. ადმინისტრაციული პერსონალს მიეკუთვნებიან ასევე შტატგარეშე თანამშრომლები, რომლებიც დამხმარე ფუნქციების შესრულებას უზრუნველყოფენ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პერსონალს წარმოადგენს პროფესიული განათლების მასწავლებელი და პროგრამის განმახორციელებელი პირი, რომლებიც უზრუნველყოფენ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ საქმიანობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომელთა შერჩევა შესაძლოა განხორციელდეს როგორც კონკურსის წესით, ასევე წერილობითი განცხადებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის საფუძველზე. საკონკურსო კომისია იქმნება დირექტორის ბრძანებით, .რომელიც შედგება კომისიის თავმჯდომარის, კომისიის მდივნისა და კომისიის წევრებისაგან.

ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა დოკუმენტები. შედგა ინტერვიუ დაწესებულების წარმომადგენლებთან, რომლებმაც განმარტეს, რომ პერსონალის შერჩევა განხორციელდება ცენტრალიზებულად კოლეჯის მიერ შემუშავებული „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის“ შესაბამისად.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს
ახალ მისამართზე საქმიანობის განხორციელების მიზნით ამ ეტაპისთვის დაწესებულებას შერჩეული ჰყავს მხოლოდ 2 პირი. საერთო ჯამში, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებულია და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული საშტატო განრიგის მიხედვით, იგეგმება 20 პირის დაკონტრაქტება.

გამომდინარე იმ ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, რომ ახალციხის მუნიციპალიტეტის მისამართზე, დაწესებულება ჯერ არ ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას, ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, საშტატო ნუსხით განსაზღვრული პერსონალის შერჩევა-დაკონტრაქტება განხორციელდება ახალ მისამართზე ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, აგრეთვე, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დაწესებულების მიერ, ინდიკატორი შეტანილია შესაბამისობის გეგმაში და შეფასებულია „მეტწილი“ შესაბამისობით, **ექსპერტთა მიერ ინდიკატორი ასევე შეფასდა „მეტწილად შესაბამისი“ და დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში განახორციელოს პერსონალის შერჩევა/დაკონტრაქტება და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის უზრუნველყოფა. შესაბამისობის გეგმით დაგეგმილი ამოცანების შესრულებისთვის განსაზღვრული ვადაა 20.11.2024 წ.**

4.პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.
კოლეჯს შემუშავებული აქვს „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი“, რომელიც ითვალისწინებს კადრების მოზიდვას, მათ კარიერულ ზრდას და შენარჩუნებას. აგრეთვე პერსონალის ინტელექტუალური რესურსების ეფექტიანად გამოყენებას. კოლეჯის HR სისტემა შექმნილია შემდეგი პრინციპების მიხედვითა) სამართლიანობა და გამჭირვალობა;. ბ) თანასწორობ;. გ) ტოლერანტობა; დ) გუნდური ხელშეწყობა. ექსპერტების ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულებაში დამკვიდრებულია გუნდური თანამშრომლობის პრაქტიკა, როგორც საგანმანათლებლო საქმიანობაში ისე სხვადასხვა სახის განმავითარებელი ღონისძიებების დაგეგმვაში.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების შინაგანაწესი;
2. დაწესებულების „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი“ (ბრძ.#804156, 14.07.2022 წ.);
3. დაწესებულების შესაბამისობის გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პერსონალის პირადი საქმეები;
5. ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯის „კონსტრუქტ2“ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი #3 (19.07.2024
6. შესაბამისობის გეგმა;
7. დაწესებულების პერსონალთან გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას.

კოლეჯის მიერ შემუშავებული „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი“, ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე და ითვალისწინებს პერსონალის საქმიანობის შეფასებას. დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერთან გასაუბრებით გაირკვა, რომ ახალციხის მისამართზე მისი ხელმძღვანელობით ცენტრალიზებულად განხორციელდება პერსონალის საქმიანობის შეფასება, რომელიც გულისხმობს გამოკითხვას, მონაცემთა დამუშავება-ანალიზს, რეკომენდაციების მომზადებას და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა-გატარებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2.პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების მიერ შემუშავებული სტრატეგიული გეგმის (სტრატეგიული მიზანი 2) ინსტიტუციური განვითარების ერთ-ერთი ამოცანაა (მე-5) დაწესებულების პერსონალის განვითარება. ამ ამოცანის შესასრულებლად დაწესებულების მიერ განსაზღვრულია შემდეგი ღონისძიებები: ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შემუშავება, დანერგვა და მუდმივი განვითარება, პერსონალის პროფესიული განვითარება და მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა, შერჩევა, შრომითი ადაპტაცია და შენარჩუნება. დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებიდან გამომდინარე შემუშავებული აქვს კითხვარების შედეგად გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისი გეგმა, რომლის შესაბამისად ახორციელებს ტრენინგების და სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარებას.

ექსპერტები გავესაუბრეთ ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერს, რომელმაც აგვიხსნა პროცესები, რომლებსაც ახორციელებს ზესტაფონის მისამართზე და რომ, ცენტრალიზებული სახით აპირებს ახალციხის მისამართზეც ანალოგიურის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კოლეჯს შემუშავებული აქვს შინაგანაწესი და „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი“, რომელთა შესაბამისად აპირებს ახალციხის მისამართზე პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევას და შემდგომ მათი პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას. აღნიშნული საკითების მართვა განხორციელდება ისე, როგორც ხდება ზესტაფონის მისამართზე.

დოკუმენტების გაცნობით და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4.პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.

კოლეჯის მიერ შემუშავებული „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი“ ითვალისწინებს ახალი თანამშრომლის მიღების და სამუშაოსთან ინტეგრაციის პროცესს და პროცედურებს, კერძოდ, პროცესის მონაწილე პირებს, კოლეჯში წარსადგენ დოკუმენტაციას, შრომითი ურთიერთობის გაფორმებას, სამუშაო ადგილით დასაქმებულის უზრუნველყოფას, ახალი თანამშრომლის მიმართ ზრუნვის და პატივისცემის გამოხატვას, ორგანიზაციის თანამშრომლებისთვის ახალი კოლეგის გაცნობას. ადაპტაციის პროცესის მნიშვნელოვანი კომპონენტია ახალი თანამშრომლისთვის საორიენტაციო ტრენინგის ჩატარება. ტრენინგის საკითხები უნდა მოიცავდეს ყველა იმ მნიშვნელოვან ინფორმაციას, რომელიც საჭიროა ახალი თანამშრომლის საქმიანობის, კომპანიის ღირებულებების გააზრების და შიდა კომუნიკაციის ეფექტიანობისათვის.

ახალი მისამართისთვის შერჩეული მენეჯერი, ადაპტაციისა და საქმიანობის სპეციფიკის გაცნობის მიზნით, ზესტაფონის მისამართზე იმყოფებოდა მივლინებით. ახალი შერჩეული პერსონალის მიერ, ექსპერტებთან გასაუბრებისას, აღინიშნა მუდმივი მხარდაჭერა დაწესებულების ადმინისტრაციისა და პერსონალის მხრიდან.

დოკუმენტის შესწავლის და პერსონალთან გასაუბრებით დგინდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5.პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის მიერ შემუშავებული შინაგანაწესი ითვალისწინებს დასაქმებულის წახალისების წესს, რომლის შესაბამისად, დაწესებულების დირექტორი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება დასაქმებულის წახალისების შესახებ:

- კონკრეტული დამსახურებისათვის, რომელიც აღემატება დასაქმებულთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამსახურებრივ მოვალეობებს და დაკავშირებულია ზედმეტ ძალისხმევასთან;
- კონკრეტული დამსახურებისათვის, რომელიც შედის დასაქმებულის სამსახურებრივ მოვალეობებში, მაგრამ შესრულებულია მაღალი პროფესიონალიზმით;
- დაწესებულებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე დავალების წარმატებით შესრულებისთვის;
- ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი შრომისთვის;
- დაწესებულების მიზნებისა და ამოცანების განხორციელებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანისათვის.

დასაქმებულის წახალისების შესახებ დაწესებულების დირექტორი გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. წახალისების ფორმებია: მადლობის გამოცხადება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ფულადი პრემია. დასაქმებულის წასახალისებლად შესაძლებელია ერთდროულად გამოყენებულ იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა.

დოკუმენტის გაცნობით და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების შინაგანაწესი;
2. დაწესებულების „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი“ (ბრძ.#804156, 14.07.2022 წ.);
3. დაწესებულების შესაბამისობის გეგმა;
4. პერსონალის პირადი საქმეები;
5. ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯის „კონსტრუქტ2“ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი #3 (19.07.2024
6. შესაბამისობის გეგმა;
7. დაწესებულების ვებ გვერდი https://construct2.ge/
8. დაწესებულების პერსონალთან გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით - მიმდინარე ეტაპისთვის დაწესებულების ახალ მისამართზე (ქალაქი ახალციხე, ვალე, სტალინის ქუჩა N 18), სადაც განხორციელდა ექსპერტთა ვიზიტი, მიმდინარეობს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები. დაწესებულების მიერ, აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა. გეგმით გათვალისწინებული კომპონენტის შესრულების ვადა განსაზღვრულია 20.11.2024 თარიღით, ხოლო შესრულებაზე პასუხისმგებელია როგორც დაწესებულება, ისე პარტნიორი კომპანია შპს „ბკ ქონსთრაქშენ“-ი.

   USAID-ის პროგრამის, „დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის“, 2024 წლის 10 იანვრის #006-C3-002-2022-5 საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „ბკ ქონსთრაქშენ“-სა და დაწესებულებას შორის გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმების ფარგლებში (მოქმედების ვადა განსაზღვრულია 7 წლით), კომპანია (შპს „ბკ ქონსთრაქშენ“-ი) იღებს ვალდებულებას, გრანტით განსაზღვრული თანხით (490 484,47 აშშ დოლარი) უზრუნველყოს კოლეჯის ახალ მისამართზე დაფუძნება, რაც მოიაზრებს, საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა-განხორციელებისთვის ინფრასტრუქტურის სრულად მოწყობასა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსით აღჭურვას, ხოლო დაწესებულება იღებს ვალდებულებას სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ფინანსური რესურსით (1 999 930,59 ლარი) მოახდინოს სასწავლო პროცესისთვის გამოყოფილი შენობა-ნაგებობის (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი 62.15.54.031, ნაკვეთის საერთო ფართობი 5264 კვ.მ) რეაბილიტაცია,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომელიც სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ დაწესებულების მფლობელობაში გადაცემულია უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების საფუძველზე. აღნიშნული დოკუმენტაციით და დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვალდებულებების თანახმად, დაწესებულების ახალ მისამართზე არსებული ოთხსართულიანი შენობა, გარე პერიმეტრით სრულად რეაბილიტირებული და აღჭურვილი უნდა იყოს 2024 წლის ოქტომბრისთვის.

საპროექტო და შენობის აზომვითი ნახაზით, საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისთვის დაგეგმილია შემდეგი სივრცეების მოწყობა:

- საკლასო ოთახები (A, B, C სასწავლო გარემო), რომლებიც განლაგებულია შენობის 3 სართულზე: თეორიული სწავლებისთვის საერთო ფართით ≈228,7 კვ.მ; პრაქტიკული მეცადინეობებისთვის - ფართით 202,5 კვ.მ; კომპიუტერული კაბინეტი - 35, 9 კვ.მ.
- საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის სხვა დამხმარე სივრცეები: პირველადი დახმარების კაბინეტი (22, 6 კვ.მ), ბიბლიოთეკა (23,3 კვ.მ), საკონფერენციო ოთახი (60, 5 კვ.მ), შეხვედრების ოთახი (32,7 კვ.მ), დაცვის ოთახი (59,1 კვ.მ), სამზარეულო (40,9კვ.მ), სამრეცხაო (29.2 კვ.მ), სასაწყობე და დამხმარე სივრცეები (სულ 3 სივრცე საერთო ფართით 106, 5 კვ.მ).
- მეოთხე სართული ეთმობა საერთო საცხოვრებელს, სადაც ასევე განთავსებულია რეკრეაციული სივრცე ფართით 60, 5კვ. მ.
- შენობის ოთხივე სართულზე გათვალისწინებულია სანიტარული კვანძები ქალებისთვის, მამაკაცებისთვის, ასევე ადაპტირებული კვანძები, თითოეულ სართულზე სანიტარული კვანძისთვის დათმობილი ფართი საშუალოდ შეადგენს 32 კვ.მ.

პროექტით გათვალისწინებულია ასევე ლიფტის მოწყობა, ხოლო შენობის მიმდებარედ ავტოსადგომი.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ასევე მრავალფუნქციური, ადმინისტრაციული-საგანმანათლებლო შენობის რეკონსტრუქციის პროექტის საექსპერტო დასკვნა, რომელიც ადასტურებს შენობის დაპროექტება-რეკონსტრუქციის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან“ შესაბამისობას.

საგრანტო ხელშეკრულებისა და ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმების, ასევე შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში, დაწესებულების საქმიანობა ახალ მისამართზე (ქალაქი ახალციხე, ვალე, სტალინის ქუჩა N 18), უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით. შესაბამისობის გეგმით დაგეგმილი ამოცანების შესრულებისთვის განსაზღვრული ვადაა 20.11.2024 წ. არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ექსპერტების მიერ ინდიკატორი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის - დაწესებულების მიერ, შემუშავებულია ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსით სარგებლობის მექანიზმები/წესები, რომელიც ასევე გავრცელდება ახალციხის მუნიციპალიტეტის მისამართზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შენობის რეაბილიტაციის პროექტით, დაგეგმილია საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობისთვის აუცილებელი სივრცეები (იხ. ასევე 5.1.1. (1) ინდიკატორის აღწერა), „ბკ ქონსთრაქშენ“-თან გაფორმებული თანამშრომლობის შეთანხმების თანახმად, აღნიშნული სივრცეები სრულად იქნება აღჭურვილი, შეიქმნება საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა, რომლითაც სარგებლობას შეძლებენ როგორც პროფესიული სტუდენტები და მსმენელები, ისე პერსონალი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯს ჰყავს მატერიალური რესურსების უზრუნველყოფისა და ლოჯისტიკის მენეჯერი, აღნიშნული პოზიცია იქნება ასვე ახალციხის ლოკაციაზეც. პერსონალის ფუნქცია-მოვალეობებით განსაზღვრულია, კოლეჯში მიმდინარე ყოველდღიური საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელება. პსდ-ს მატერიალური რესურსებით სარგებლობის უფლებებს მოიცავს ასევე დაწესებულების მიერ შემუშავებული დოკუმენტი „სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები“ (ბრძ.#621075, 21.07.2020, ცვლილება განხორციელებულია ბრძ. #1272943, 02.10.2023), რომლის თანახმად, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით..

საგრანტო ხელშეკრულებისა და ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმების, ასევე შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში, დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომი იქნება პროფესიული სტუდენტებისთვის. შესაბამისობის გეგმით დაგეგმილი ამოცანების შესრულებისთვის განსაზღვრული ვადაა 20.11.2024 წ. არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ექსპერტების მიერ ინდიკატორი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.

3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები - საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროსა ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-ის კორესპონდენციის (#612494, 03.06.2024) თანახმად დაწესებულებამ ახალ მისამართზე მოითხოვა 3 დამლაგებლის და 1 მეეზოვის საშტატო ერთეული, რასაც სამინისტრო დაეთანხმა, ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული იქნა ახალი საშტატო განრიგი (ოქმი#3, 19.07.2024). სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას შესაძლებლობა ექნება, ახალ მისამართზე ავტორიზაციისა და პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების შემთხვევაში, უზრუნველყოს შესაბამისი კადრის აყვანა და შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება.

დაწესებულებას ახალი ლოკაციის სივრცეების/ფართის და მოთხოვნილი საშტატო ერთეულებისა და რაოდენობების გათვალისწინებით, მის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში, შესაძლებელი იქნება დაწესებულებამ უზრუნველყოს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა. დაწესებულების მიერ შესაბამისობის გეგმით დაგეგმილი ამოცანების შესრულებისთვის განსაზღვრული ვადაა 20.11.2024 წ. არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით ინდიკატორი შეფასდა როგორც „მეტწილი“ შესაბამისობა.

4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით - წარმოდგენილი შენობა-ნაგებობის რეაბილიტაციის პროექტით გათვალისწინებულია ცენტრალური გათბობის სისტემის მოწყობა. მიმდინარე ეტაპზე, შენობის შიდა პერიმეტრზე მოწყობილია გათბობის რადიატორების სამონტაჟო წერტილები.

საგრანტო ხელშეკრულებისა და ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმების, ასევე შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში, დაწესებულების შენობა-ნაგებობა ახალ მისამართზე (ქალაქი ახალციხე, ვალე, სტალინის ქუჩა N 18)**, უზრუნველყოფილი იქნება ცენტრალური გათბობის სისტემით. დაწესებულების მიერ შესაბამისობის გეგმით დაგეგმილი ამოცანების შესრულებისთვის განსაზღვრული ვადაა 20.11.2024 წ. არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ექსპერტების მიერ ინდიკატორი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები - დაწესებულებას შემუშავებული აქვს შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკა, ასევე რისკების მართვისა და პრევენციის მართვის ღონისძიებების გეგმები. დანიშნული ყავს კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. გამომდინარე იქედან, რომ დაწესებულების მიერ, აღნიშნულ მისამართზე, განხორციელებისთვის დაგეგმილი საგანმანათლებლო პროგრამები წარმოადგენს სამშენებლო მიმართულებას, დაწესებულებამ, საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს მიმართა თხოვნით საშტატო ერთეულების დამატების შესახებ, მ.შ. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის დამატების თაობაზე. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია სამინისტროს საპასუხო კორესპონდენცია, რომლის თანახმად, სამინისტრო აცხადებს მზაობას გამოყოს დამატებითი ფინანსური რესურსი მოთხოვნილი საშტატო ერთეულების ანაზღაურებისთვის. აღნიშნული კორესპონდენციისა და სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების (ოქმი#3, 19.07.2024) საფუძველზე, დაწესებულება უზრუნველყოფს შესაბამისი კვალიფიკაციის კადრის შერჩევა-დანიშვნას აღნიშნულ ლოკაციაზე.

   წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე და დაწესებულების მიერ დაგეგმილი აქტივობების, მ.შ. შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ამოცანების დადგენილ ვადებში შესრულების შემთხვევაში, დაწესებულებაში უზრუნველყოფილი იქნება კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების მექანიზმების მოქმედება. **შესაბამისობის გეგმით დაგეგმილი ამოცანების შესრულებისთვის განსაზღვრული ვადაა 20.11.2024 წ. არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ექსპერტების მიერ ინდიკატორი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.**

6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები - საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროსა ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-ის კორესპონდენციის (#612494, 03.06.2024) თანახმად დაწესებულებამ ახალ მისამართზე მოითხოვა მატერიალური რესურსების უზრუნველყოფისა და ლოგისტიკის მენეჯერის საშტატო ერთეული, რასაც სამინისტრო დაეთანხმა, ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული იქნა ახალი საშტატო განრიგი (ოქმი #3, 19.07.2024). სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას შესაძლებლობა ექნება, ახალ მისამართზე ავტორიზაციისა და პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების შემთხვევაში, უზრუნველყოს შესაბამისი კადრის აყვანა და შრომითი ხელშეკრულების გაფორმება.

   პროცესის მართვისა და შეუფერხებლად მომარაგების უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავებული აქვს პოზიციის სამუშაო აღწერილობა, „სამეურნეო საქმიანობის, ფინანსური, მატერიალური რესურსებისა და არამატერიალური აქტივების მართვის წესი (ბრძ. #232904, 15.03.2021 დანართი 5), რომლის თანახმად, დაწესებულების საქმიანობისთვის საჭირო სამუშაოების/მომსახურებისთვის საჭირო რესურსის შესყიდვა იგეგმება ერთ სამეურნეო წელზე, მომავალი სამეურნეო წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შედგენისას. დოკუმენტი მოიცავს, შესასყიდი რესურსის სპეციფიკაციისა და საკანონმდებლო მოთხოვნების გათვალისწინებით, შესყიდვების წესებს, მექანიზმებს. დაწესებულების ახალ მისამართზე პროექტით დაგეგმილია 2 სასაწყობო სივრცე, რაც უზრუნველყოფს სათანადო მარაგების არსებობას ადგილზე.

დაწესებულების მიერ, ახალ მისამართზე სივრცეების/ფართის და მოთხოვნილი საშტატო ერთეულების, პსდ-ს შიდა რეგულაციებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მექანიზმების გათვალისწინებით, შესაძლებელი იქნება სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფა. არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით ინდიკატორი შეფასდა როგორც „მეტწილი“ შესაბამისობა.

7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას - პროცესის მართვისთვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (ბრძ. #1052327, 30.10.2020), რომლის თანახმად სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით მოწმდება მატერიალური რესურსი და ტექნოლოგიური მხარდაჭერის მექანიზმები (პ.3.1.). დაწესებულებაში ასევე მოქმედებს შიდა მონიტორინგის პროცედურა, რომლის თანახმად, დირექტორის ბრძანებით იქმნება მონიტორინგის ჯგუფი, რომლის ერთ-ერთი ამოცანაა სასწავლო გარემოს და აღჭურვილობის მდგომარეობისა და საკმარისობის შეფასება („შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიზნები, ფუნქციები და ამოცანები“ პ.1.7.4.).

   დაწესებულებაში შემუშავებული „საადრიცხვო პოლიტიკა“, რომელიც მოიცავს ასევე ინვენტარიზაციის ჩატარების წესს, პერიოდულობას და ვადებს (ბრძ. #232904, 15.03.2021). დოკუმენტისა და დაწესებულების პერსონალის განმარტებით, საინვენტარიზაციო კომისიის მიერ წელიწადში ორჯერ ხდება რესურსების შეფასება-აღწერა. არსებული პროცედურა და კომისიის საქმიანობის რეგლამენტი გავრცელდება ასევე დაწესებულების ახალ მისამართზეც.

   შესაბამისად, დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას.

8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის - წარმოდგენილი შენობა-ნაგებობის რეაბილიტაციის პროექტით, თითოეულ სართულზე გათვალისწინებულია 3 სანიტარული კვანძი ქალების, მამაკაცებისა და შშმ სტუდენტებისთვის. მრავალფუნქციური შენობის რეკონსტრუქციის პროექტის საექსპერტო დასკვნით, დადებითად არის შეფასებული სანიტარული კვანძების, წყლის მიწოდებისა და ვენტილაცია-განათების სისტემების მოწყობის სტანდარტები. დასკვნით დადასტურებულია პროექტის შესაბამისობა საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან“.
   საგრანტო ხელშეკრულებისა და ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმების, ასევე შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში, დაწესებულების ახალ მისამართზე (ქალაქი ახალციხე, ვალე, სტალინის ქუჩა N 18), მოწყობილი იქნება გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მომარაგდება წყლით, ექნება უწყვეტი განათება და ვენტილაცია, ასევე უზრუნველყოფილი იქნება წესრიგი/ჰიგიენური ნორმები, პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობა და ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომობა. შესაბამისობის გეგმით დაგეგმილი ამოცანების შესრულებისთვის განსაზღვრული ვადაა 20.11.2024 წ. არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ექსპერტების მიერ ინდიკატორი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა - წარმოდგენილი შენობა-ნაგებობის რეაბილიტაციის პროექტით, ყველა სასწავლო თუ სამუშაო სივრცეს, მ.შ. ბიბლიოთეკასა და საკონფერენციო დარბაზს აქვს ბუნებრივი განათებისთვის ღიობები (ფანჯრები), რაც ასევე დადასტურდა ვიზიტის დროს შენობის დათვალიერებით. დამონტაჟდება ასევე ხელოვნური განათების სისტემებიც.

საგრანტო ხელშეკრულებისა და ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმების, ასევე შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში, დაწესებულების ახალ მისამართზე (ქალაქი ახალციხე, ვალე, სტალინის ქუჩა N 18), უზრუნველყოფილი იქნება, ყველა სასწავლო ფართისა და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზისთვის, როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა. შესაბამისობის გეგმით დაგეგმილი ამოცანების შესრულებისთვის განსაზღვრული ვადაა 20.11.2024 წ. არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ექსპერტების მიერ ინდიკატორი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.

10. სათავსების და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას - პროექტით შენობა-ნაგებობის საკლასო თუ სამუშაო სივრცეების არ იქნება ერთმანეთში გამავალი, რაც ასევე დადასტურდა ვიზიტის დროს შენობის დათვალიერებით. შესვლა შესაძლებელი იქნება ბარიერის და შეზღუდვების გარეშე. პროგრამებისთვის გამოყოფილი იქნება ინდივიდუალური სასწავლო აუდიტორია/აუდიტორიები.

საგრანტო ხელშეკრულებისა და ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმების, ასევე შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში, დაწესებულების შენობა-ნაგებობა ახალ მისამართზე (ქალაქი ახალციხე, ვალე, სტალინის ქუჩა N 18), უზრუნველყოფილი იქნება სათავსებისა და სივრცეების განლაგება, ისე რომ ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას. შესაბამისობის გეგმით დაგეგმილი ამოცანების შესრულებისთვის განსაზღვრული ვადაა 20.11.2024 წ. არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ექსპერტების მიერ ინდიკატორი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.

11. **მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად -** ამ მიზნით, დაწესებულების ახალ მისამართზე მოეწყობა ბიბლიოთეკა, შესაბამისი აღჭურვით. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ახალი წიგნების, მ.შ. მხატვრული ლიტერატურის შეძენაც. შემუშავებულია „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“ (ბრძ. #623792 22.07.2020), რომელიც ასევე მოიცავს ელექტრონულად სერვისის გაწევის მექანიზმებს (პ.8.1.8). დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსებულია ბიბლიოთეკის წიგნების ნუსხა და საგანმანათლებლო რესურსების კატალოგი. სასწავლო რესურსი გაზიარდება ახალ მისამართზეც ასლების სახით. ელექტრონული რესურსი ჩატვირთული იქნება ბიბლიოთეკის კომპიუტერებში.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, კოლეჯის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის დიდი ნაწილი და სასწავლო რესურსი, ფაქტობრივად არის ელექტრონული, რომლის გაზიარებაც მოხდება ახალციხის სტუდენტებისა და პერსონალისთვის. ბიბლიოთეკის მართვა დაგეგმილია ცენტრალიზებულად, დაწესებულებას ეყოლება ერთი ბიბლიოთეკარი ზესტაფონის მისამართზე, ხოლო ახალციხის მისამართზე, ბიბლიოთეკარის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფუნქცია შეთავსებით დაეკისრება სასწავლო პროცესის მენეჯერს. ბიბლიოთეკით სარგებლობისა და სასწავლო პროცესის ეფექტურად და შეუფერხებლად მართვისთვის, სასურველია ბიბლიოთეკარის ფუნქციები დაევალოს სხვა პირს ან აყვანილი იქნას ახალი პერსონალი, რომელსაც ექნება შესაბამისი კომპეტენციები საგანმანათლებლო დაწესებულებების ბიბლიოთეკის მუშაობის სპეციფიკის შესახებ, ან აყვანილ პერსონალს ჩაუტარდეს საბიბლიოთეკო საქმის გაცნობისა და შესაბამისი კომპეტენციების დაუფლების მიზნით სწავლება/ტერნინგი.

საგრანტო ხელშეკრულებისა და ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმების, ასევე შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში, დაწესებულების ახალ მისამართზე (ქალაქი ახალციხე, ვალე, სტალინის ქუჩა N 18), მოეწყობა ბიბლიოთეკა და უზრუნველყოფილი იქნება ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა და დამუშავება საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. შესაბამისობის გეგმით დაგეგმილი ამოცანების შესრულებისთვის განსაზღვრული ვადაა 20.11.2024 წ. არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ექსპერტების მიერ ინდიკატორი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.

განმავითარებელი რეკომენდაცია: ბიბლიოთეკით სარგებლობისა და სასწავლო პროცესის ეფექტურად და შეუფერხებლად მართვისთვის, სასურველია ბიბლიოთეკარის ფუნქციები დაევალოს სხვა პირს ან აყვანილი იქნას ახალი პერსონალი. ამასთან ახალ მისამართზე ბიბლიოთეკარისთვის, ან შეთავსებით ფუნქცია მოვალეობების შემსრულებელი პერსონალისთვის, განხორციელდეს შესაბამისი სწავლება/მომზადება.

კრიტერიუმის შეფასება:

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას - არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ექსპერტების მიერ კრიტერიუმის ინდიკატორები გარდა 5.1.1. (7) (ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას), **შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.**

შესაბამისობის რეკომენდაცია: დაწესებულებამ უზრუნველყოს ახალ მისამართზე (ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელი ვალეს სტალინის ქ.#18-ში) საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული საქმინობისთვის ინფრასტრუქტურის, მ.შ. ინკლუზიური გარემოს მოწყობა და მისი აღჭურვა მინიმუმ ავტორიზაციის ვადით. ასევე უზრუნველყოფილი იქნეს მატერიალური რესურსით და ინფრასტრუქტურით შეუზღუდავი სარგებლობის მექანიზმები, ინფრასტრუქტურის (სასწავლო-სამუშაო და დამხმარე სივრცეები, სანიტარული კვანძები), საბიბლიოთეკო, სანიტარული-ჰიგიენური და შრომის უსაფრთხოების საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობა. აღნიშნული კომპონენტის დაკმაყოფილება დაწესებულებამ უზრუნველყოს საგრანტო ხელშეკრულებისა და ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმების, ასევე შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადების დაცვით, არა უგვიანეს 2024 წლის 20 ნოემბრისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. შპს „ბკ ქონსთრაქსშენ“-სა ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-ს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმება (14.03.2024);
2. საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროსა და ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულება დაფინანსების თაობაზე (#119 27.12.2023)
3. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-ს შორის გაფორმებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება (04.12.2023);
4. მრავალფუნქციური შენობის აზომვითი ნახაზი
5. მრავალფუნქციური შენობის პროექტის საექსპერტო დასკვნა
6. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (მომზადების თარიღი 14.12.2023);
7. დაწესებულების კორესპონდენცია #612494, (03.06.2024)#800354 (03.07.2024);
8. საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს კორესპონდენცია #844354 (10.07.2024)
9. ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯის „კონსტრუქტ2“ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი #3 (19.07.2024)
10. მატერიალური რესურსების უზრუნველყოფისა და ლოჯისტიკის მენეჯერის სამუშაო აღწერილობა
11. დაწესებულების „სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები“ (ბრძ.#621075, 21.07.2020)
12. დაწესებულების დირექტორის ბრძანება #232904 „სააღრიცხვო პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ (15.03.2021);
13. დაწესებულების „სამეურნეო საქმიანობის, ფინანსური, მატერიალური რესურსებისა და არამატერიალური აქტივების მართვის წესი“ (ბრძ. #232904, 15.03.2021 დანართი 5)
14. დაწესებულების „ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“ (ბრძ. #232904, 15.03.2021 დანართი 4)
15. დაწესებულების შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიზნები, ფუნქციები და ამოცანები“
16. დაწესებულების „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“ (#623792, 22.07.2020) :
17. დაწესებულების პერსონალთან გასაუბრების შედეგები

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები -** აღნიშნული კომპონენტი/ინდიკატორი დაწესებულებას გატანილი აქვს სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმაში და შეფასებული აქვს „მეტწილი“ შესაბამისობით. შენობა-ნაგებობის სამშენებლო-სარემონტო პროექტის საექსპერტო დასკვნის თანახმად, რეკონსტრუქციის დაწყებამდე შენობას ჩაუტარდა ექსპერტიზა, რის საფუძველზეც გაიცა დადებითი დასკვნა, რომ შენობის კონსტრუქცია, მისი სიმაღლისა და ფართობებიდან გამომდინარე, არის „სახანძრო უსაფრთხოების ტიპის“. თუმცა აღნიშნული კომპონენტი ამ ეტაპზე შეფასებას არ ექვემდებარება. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების დასრულებისთანავე, მას შემდეგ, როცა მოეწყობა სახანძრო უსაფრთხოების სისტემები, დაგეგმილია შენობის შეფასება სახანძრო უსაფრთხოების საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

საგრანტო ხელშეკრულებისა და ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმების, ასევე შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში, დაწესებულების ახალ მისამართზე (ქალაქი ახალციხე, ვალე, სტალინის ქუჩა N 18), მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში, უზრუნველყოფს უსაფრთხოების ზომების დაცვას. შესაბამისობის გეგმით დაგეგმილი ამოცანების შესრულებისთვის განსაზღვრული ვადაა 20.11.2024 წ. არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ექსპერტების მიერ ინდიკატორი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.

2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები - პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროცედურა „პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები“. აღნიშნული კომპონენტი/ინდიკატორი დაწესებულებას გატანილი აქვს სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმაში და შეფასებული აქვს „მეტწილი“ შესაბამისობით. დაწესებულება ახალ მისამართზე გეგმავს პირველადი დახმარების კაბინეტის მოწყობას, რაც ასევე დასტურდება შენობა-ნაგებობის სარეაბილიტაციო-სარემონტო პროექტით. ასევე, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ახალ მისამართზე, ინდიკატორის უზრუნველყოფის მიზნით, აყვანილი იქნება შრომის უსაფრთხოების ისეთი სპეციალისტი, რომელიც ასევე სერტიფიცირებული იქნება პირველადი დახმარების აღმოჩენის საკითხებშიც.

საგრანტო ხელშეკრულებისა და ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმების, ასევე შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში, დაწესებულების ახალ მისამართზე (ქალაქი ახალციხე, ვალე, სტალინის ქუჩა N 18), უზრუნველყოფს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმების რეალიზებას. შესაბამისობის გეგმით დაგეგმილი ამოცანების შესრულებისთვის განსაზღვრული ვადაა 20.11.2024 წ. არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ექსპერტების მიერ ინდიკატორი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.

3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი - რეკონსტრუქციის დაწყებამდე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნით, შენობის კონსტრუქცია, მისი სიმაღლისა და ფართობებიდან გამომდინარე, არის „სახანძრო უსაფრთხოების ტიპის“ და აქვს 3 კიბის უჯრედი, რაც ასევე უზრუნველყოფს თავისუფალ ევაკუაციას. თუმცა, ამ ეტაპზე ინდიკატორის შეფასება შეუძლებელია. დაწესებულებას ინდიკატორი გატანილი აქვს სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმაში და შეფასებული აქვს „მეტწილი“ შესაბამისობით. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, შენობის რეკონსტრუქცია-რემონტის დასრულების შემდეგ, განხორციელდება მისი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე შემოწმება და პარალელურად შედგება, კანონმდებლობით დადგენილი, შესაბამისი სავალდებულო დოკუმენტაციაც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგრანტო ხელშეკრულებისა და ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმების, ასევე შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში, დაწესებულების ახალ მისამართზე (ქალაქი ახალციხე, ვალე, სტალინის ქუჩა N 18), უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმების რეალიზებას. შესაბამისობის გეგმით დაგეგმილი ამოცანების შესრულებისთვის განსაზღვრული ვადაა 20.11.2024 წ. არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ექსპერტების მიერ ინდიკატორი შეფასდა „მეტწილი" შესაბამისობით.

4. **დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას -** ინდიკატორის უზრუნველყოფისა და წესრიგის დაცვის მიზნით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს „შინაგანაწესი", რომელიც მოიცავს როგორც შრომით ურთიერთობების შესახებ, ასევე ქცევისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებს, მ.შ. განსაზღვრულია თამბაქოს მოხმარების აკრძალვისა და კონტროლი მექანიზმები.

აღნიშნული კომპონენტი/ინდიკატორი დაწესებულებას გატანილი აქვს სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმაში და შეფასებული აქვს „მეტწილი" შესაბამისობით. ინდიკატორის შესრულებისა და ახალ მისამართზე წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულებამ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსგან მოითხოვა საშტატო განრიგის ცვლილება და პოზიციების/საშტატო ერთეულების დამატება, რაზეც სამინისტროსგან დადებითი პასუხი მიიღო. ახალ მისამართზე, დაწესებულება გეგმავს დაცვის თანამშრომლების (3 საშტატო ერთეული), საერთო საცხოვრებლის ადმინისტრატორის (1 საშტატო ერთეული), საერთო საცხოვრებლის მორიგის (3 საშტატო ერთეული) აყვანას. ასევე დაგეგმილია, საკანონმდებლო მოთხოვნების გათვალისწინებით, ვიდეო მონიტორინგის სისტემის მონტაჟი როგორც შენობის შიდა, ისე გარე პერიმეტრზე.

საგრანტო ხელშეკრულებისა და ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმების, ასევე შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში, დაწესებულების ახალ მისამართზე (ქალაქი ახალციხე, ვალე, სტალინის ქუჩა N 18), საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას. შესაბამისობის გეგმით დაგეგმილი ამოცანების შესრულებისთვის განსაზღვრული ვადაა 20.11.2024 წ. არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ექსპერტების მიერ ინდიკატორი შეფასდა „მეტწილი" შესაბამისობით.

კრიტერიუმის შეფასება:

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება - ინდიკატორები: „დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების" (1), „დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები" (2), „დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი" (3) და „დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას" (4) **არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ექსპერტების მიერ კრიტერიუმი შეფასდა „მეტწილი" შესაბამისობით.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებამ უზრუნველყოს ახალ მისამართზე (ქალაქი ახალციხე, ვალე, სტალინის ქუჩა N 18) მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში უსაფრთხოების ზომებისა და წესრიგის დაცვა. ასევე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისა და მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმის დანერგვა-რეალიზება. აღნიშნული ღონისძიებების დაკმაყოფილება დაწესებულებამ უზრუნველყოს საგრანტო ხელშეკრულებისა და ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმების, ასევე შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადების დაცვით, არა უგვიანეს 2024 წლის 20 ნოემბრისა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. შპს „ბკ ქონსთრაქსშენ“-სა ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-ს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმება (14.03.2024);
2. საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროსა ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-ის კორესპონდენცია #612494, (03.06.2024)
3. დაწესებულების კორესპონდენცია #612494, (03.06.2024)#800354 (03.07.2024);
4. საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს კორესპონდენცია #844354 (10.07.2024)
5. ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯის „კონსტრუქტ2“ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი #3 (19.07.2024)
6. დაწესებულების პირველადო სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები (ბრძ. #628334 23.07.2020)
7. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის ეთიკის კოდექსი (ბრძ. 619950 21.07.2020
8. დაწესებულების პერსონალთან გასაუბრების შედეგები

შეფასება: :

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს - დაწესებულებას აღნიშნული ინდიკატორი გატანილი აქვს შესაბამისობის გეგმაში, ხოლო საგრანტო ხელშეკრულებისა და ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმების საფუძველზე დაგეგმილია დაწესებულების პროცესებისთვის და პსდ-ის ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების დაკმაყოფილების უზრუნველყოფის მიზნით IT ინფრასტრუქტურის მოწყობისთვის საჭირო ტექნოლოგიების შეძენა.

საგრანტო ხელშეკრულებისა და ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმების, ასევე შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში, დაწესებულების პროცესებისთვის ახალ მისამართზე (ქალაქი ახალციხე, ვალე, სტალინის ქუჩა N 18), უზრუნველყოფილი იქნება ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა. შესაბამისობის გეგმით დაგეგმილი ამოცანების შესრულებისთვის განსაზღვრული ვადაა 20.11.2024 წ. არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ექსპერტების მიერ ინდიკატორი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.

2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას, რისთვისაც შემუშავებული აქვს „ტექნიკური მხარდაჭერის მექანიზმები“ (ბრძ. #631472, 24.07.2020). დოკუმენტით იდენტიფიცირებულია საფრთხეები და რისკები, მათი პრევენციული და აღმოფხვრის ღონისძიებები და ვადები. დაწესებულებას ახალ მისამართზე საშტატო განრიგით გათვალისწინებული აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერის პოზიცია, რომლის სამუშაო აღწერილობით განსაზღვრულია ინფორმაციული ტექნოლოგიების მომსახურება, მ.შ. რისკების მართვა. იხ. ასევე ამავე კომპონენტის (1) ინდიკატორის აღწერა.

საგრანტო ხელშეკრულებისა და ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმების, ასევე პსდ-ის შესაბამისობის გეგმითა და ახალი საშტატო გეგმით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში, დაწესებულების მიერ ახალ მისამართზე (ქალაქი ახალციხე, ვალე, სტალინის ქუჩა N 18), უზრუნველყოფილი იქნება ინფორმაციული ტექნოლოგიების რისკების მართვა. შესაბამისობის გეგმით დაგეგმილი ამოცანების შესრულებისთვის განსაზღვრული ვადაა 20.11.2024 წ. არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ექსპერტების მიერ ინდიკატორი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას, რისთვისაც შემუშავებულია „პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები“ (ბრძ. N 972193, 09.10.2020). დოკუმენტით განსაზღვრულია პერსონალური მონაცემების სახეები, დამუშავების პრინციპები, შენახვის ვადები და პასუხისმგებელი პირები. დაწესებულების პრაქტიკით, პერსონალთან, პროფესიული სტუდენტებთან/მსმენელებთან ან/და მათ კანონიერ წარმომადგენლებთან წინასწარ ფორმდება შეთანხმება პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ. პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმების პროცედურა ასევე მოიცავს ვიდეო კონტროლის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს (მუხლი 4). დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ახალი სასწავლო წლიდან პსდ-ის ეყოლება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, მოთხოვნა, საშტატო ერთეულის დამატებასა და ანაზღაურების გამოყოფის შესახებ, გაგზავნილია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან (26.06.2024 #755520). სიტყვიერი თანხმობა დაწესებულებას მიღებული აქვს. აღნიშნული ცვლილება, უზრუნველყოფს პსდ-ში პერსონალური მონაცემების დაცვის კონტროლს. მ.შ. ახალციხის მუნიციპალიტეტის მისამართზეც. დაწესებულების მერ, ასევეწარმოდგენილი იქნა პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკის დოკუმენტის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის განახლებული რედაქციის მოთხოვნებს.

არსებული ფაქტობრივი გარემოებების, წარმოდგენილი დოკუმენტების, ასევე დაგეგმილი ღონისძიებების გათვალისწინებით, დაწესებულებაში უზრუნველყოფილი იქნება პერსონალურ მონაცემთა დაცვა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (20.11.2024 წ.) აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ექსპერტების მიერ ინდიკატორი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.

4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას - აღნიშნულ საკითზე პასუხისმგებლობა აკისრია IT მენეჯერს, რომლის ფუნქცია-მოვალეობებიც მოიცავს IT ინფრასტრუქტურის ეფექტიანობის მართვას და შემოწმებას. ასევე დაწესებულების ფინანსური რესურსების მართვის პოლიტიკით განსაზღვრულია დაწესებულებაში ინვენტარიზაციის ჩატარების წესი (დანართი 3), რომელიც სავალდებულო წესით მოიცავს დაწესებულების მატერიალური და არა მატერიალური (ამ კონკრეტული შემთხვევისთვის აღნიშნული რესურსის სახით დოკუმენტით განხილულია პროგრამული უზრუნველყოფა) რესურსების ვარგისიანობისა და საკმარისობის შეფასებას. შეფასება ხორციელდება ასევ შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ.

არსებული ფაქტობრივი გარემოებების, წარმოდგენილი დოკუმენტის, ასევე დაგეგმილი ღონისძიებების გათვალისწინებით, დაწესებულებაში უზრუნველყოფილი იქნება საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის შეფასება. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ექსპერტების მიერ ინდიკატორი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.

5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება - რისთვისაც დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ტექნიკური მხარდაჭერის მექანიზმები. ასევე ახალ მისამართზე მოთხოვნილია საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯერის პოზიცია/საშტატო ერთეული. პოზიციისთვის შემუშავებულია სამუშაო აღწერილობა, რომელიც მოიცავს ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს, რათა უზრუნველყოფილი იქნეს საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ინფრასტრუქტურის მუდმივი გამართულობა და ხელმისაწვდომობა პერსონალისა და სტუდენტებისთვის, როგორიცაა ლოკაციაზე საერთო კომპიუტერული ქსელის მართვა, მისი სისტემური განახლება და უსაფრთხოების უზრუნველყოფა; ვიდეო კონფერენციებისა და შეხვედრებისთვის ქსელური და ტექნიკური მხარდაჭერა, შესაბამისი აპარატურის მომზადება, ლოკალური ქსელის მოწყობა, მომსახურება და ა.შ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, პერსონალისათვის მოეწყობა ინდივიდუალური სამუშაო ადგილები, რომელიც აღჭურვილი იქნება შესაბამისი ტექნიკური უზრუნველყოფით, ხოლო პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი იქნება ბიბლიოთეკის, შეხვედრების ოთახის, კომპიუტერული კლასისა და სასწავლო აუდიტორიებში განთავსებული საინფორმაციო ტექნოლოგიები/აღჭურვა.

არსებული ფაქტობრივი გარემოებების, წარმოდგენილი დოკუმენტის, ასევე დაგეგმილი ღონისძიებების გათვალისწინებით, დაწესებულებაში უზრუნველყოფილი იქნება პროფესიულ სტუდენტებისა და პერსონალისთვის ინფორმაციული ტექნოლოგიების/ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა და მომსახურება. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ექსპერტების მიერ ინდიკატორი შეფასდა „მეტწილი" შესაბამისობით.

6. პსდ-ში შექმნილია კორპორატიული ელ-ფოსტის მისამართები, რომელთა გამოყენებით ხდება კომუნიკაცია. პროფესიული სტუდენტებისათვის, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალისათვის, კომუნიკაციისთვის პსდ ასევე იყენებს google-ს სერვისებს და Facebook Messenger-ს. ამ უკანასკნელის გამოყენება, ყველაზე პოპულარულია სტუდენტებისთვის, სადაც თითოეული ჯგუფისთვის/ნაკადებისთვის იქმნება საკომუნიკაციო ჯგუფები. კომუნიკაციის აღნიშნულ პრაქტიკას დაწესებულება გააზიარებს და უზრუნველყოფს შექმნას კომუნიკაციისთვის აუცილებელი პირობები, პსდ-ს ახალციხის მისამართზეც.
იხ. ასევე ინდიკატორის 5.2.2. (3) აღწერა.

არსებული ფაქტობრივი გარემოებების, წარმოდგენილი დოკუმენტის, ასევე დაგეგმილი ღონისძიებების გათვალისწინებით, დაწესებულებაში უზრუნველყოფილი იქნება პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირება ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ექსპერტების მიერ ინდიკატორი შეფასდა „მეტწილი" შესაბამისობით.

კრიტერიუმი შეფასება:

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას - ინდიკატორები: „პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს" (1), „პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას" (2) დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას (3), „პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას" (4), „პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება" (5), „პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით (6) - **არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ექსპერტების მიერ კრიტერიუმი შეფასდა „მეტწილი" შესაბამისობით.**

დაწესებულებამ უზრუნველყოს ახალ მისამართზე IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შესაბამისობა დაწესებულების პროცესებთან. ასევე დანერგოს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები, დადგენილ ვადებში აყვანილი იქნეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის, ხელმისაწვდომობის, ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმებისა და პროცედურების დანერგვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული ღონისძიებების დაკმაყოფილება დაწესებულებამ უზრუნველყოს საგრანტო ხელშეკრულებისა და ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმების, ასევე შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადების დაცვით, არა უგვიანეს 2024 წლის 20 ნოემბრისა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. შპს „ბკ ქონსთრაქსშენ“-სა ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-ს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმება (14.03.2024);
2. საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროსა და ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულება დაფინანსების თაობაზე (#119 27.12.2023)
3. დაწესებულების დირექტორის ბრძანება #232904 „სააღრიცხვო პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ (15.03.2021);
4. დაწესებულების „სამეურნეო საქმიანობის, ფინანსური, მატერიალური რესურსებისა და არამატერიალური აქტივების მართვის წესი“ (ბრძ. #232904, 15.03.2021 დანართი 5)
5. დაწესებულების „ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“ (ბრძ. #232904, 15.03.2021 დანართი 4)
6. დაწესებულების შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიზნები, ფუნქციები და ამოცანები“
7. „ტექნიკური მხარდაჭერის მექანიზმები“ (ბრძ. #631472, 24.07.2020)
8. დაწესებულების პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები (ბრძ.#972193, 09.10.2020)
9. დაწესებულების „პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკა (პროექტი)
10. საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროსთან გაგზავნილი კორესპონდენცია პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცრის თაობაზე (26.06.2024 #755520)
11. პსდ-ს შესაბამისობის გეგმა
12. დაწესებულების პერსონალთან გასაუბრების შედეგები

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების პერსონალის განმარტებით, საქმისწარმოება პსდ-ს ახალ მისამართზე იქნება ცენტრალიზებული, რომლისთვისაც გამოყენებული იქნება დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას e-flow. ახალციხის ლოკაციაზე, ასევე გავრცელდება დაწესებულების მოქმედი პრაქტიკა და შიდა რეგულაციები - „საქმისწარმოების შიდა ერთიანი წესი“, რომელიც მოიცავს დოკუმენტაციის შედგენის, გამოცემის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღრიცხვა-გაცნობის და ა.შ. წესებს, ასევე „საუწყებო არქივის დებულება“ - დოკუმენტების შეფასება, დაარქივებისა და შენახვა-უტილიზაციის წესები. საქმისწარმოების ერთიანი წესების საკანონმდებლო მოთხოვნების გათვალისწინებით და დასახელებული პროცესების მართვისთვის, დაწესებულებას შემუშავებული აქვს „საქმეთა ნომენკლატურა“ (ექსპერტებთან წარმოდგენილი იყო 2022 წლის საქმეთა ნომენკლატურა), რომელიც შეთანხმებულია, ეროვნული არქივის რეგიონულ წარმომადგენლობასთან. საქმეთა ნომენკლატურა მოიცავს პსდ-ს საქმიანობაში წარმოქმნილი საქმეების ნუსხას, მათი შენახვის ვადების მითითებით. სასურველია დოკუმენტი გაფორმდეს საქმისწარმოების ერთიანი წესების მოთხოვნების შესაბამისად ბლანკზე, მოიცავდეს ასევე წლის ბოლოს საქმეთა შემაჯამებელი ჩანაწერისთვის აუცილებელ ველებს და დოკუმენტისთვის დადგენილ შეთანხმებისა და დამტკიცების გრიფებს. ასევე სასურველია, მიუხედავად იმისა, თუ არ იცვლება საქმეთა მოცულობა/რაოდენობა, დაცული იქნეს დოკუმენტის გამოცემის წესი და გამოიცეს ყოველი კალენდარული წლის ბოლოს.

საკანონმდებლო მოთხოვნების გათვალისწინებით, დაწესებულების დირექტორის ბრძანების (MES 5 24 0000049885, 22.01.2024) საფუძველზე, პსდ-ში მოქმედებს დოკუმენტების შემფასებელი საექსპერტო კომისია, რომლის სამუშაო რეგლამენტიც მოიცავს დოკუმენტების შენახვის ვადების კონტროლი, დოკუმენტების ჩამოწერა-განადგურების შესახებ გადაწყვეტილების მიღება. კომისიის საქმიანობისას ჩართულია ასევე ეროვნული არქივის რეგიონულ წარმომადგენლობის პერსონალიც.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე დასტურდება, რომ დაწესებულება საქმისწარმოების მართვას ახორციელებს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო **საგრანტო ხელშეკრულებისა და ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმების, ასევე შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში, დაწესებულების ახალ მისამართზე (ქალაქი ახალციხე, ვალე, სტალინის ქუჩა N 18), უზრუნველყოფილი იქნება საქმისწარმოების მართვა საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად. შესაბამისობის გეგმით დაგეგმილი ამოცანების შესრულებისთვის განსაზღვრული ვადაა 20.11.2024 წ. არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა საფუძველზე, ექსპერტების მიერ ინდიკატორი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.**

განმავითარებელი რეკომენდაცია:
სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს საქმეთა ნომენკლატურის, დოკუმენტის შეთანხმებისა და დამტკიცების გრიფების გაფორმება საქართველოს პრეზიდენტის #414 ბრძანებულების 46-ე მუხლის მე-3 პუნქტია „ბ“ ქვეპუნქტის და ამავე ბრძანებულების მე-7 დანართის შესაბამისად. ასევე, დოკუმენტის გამოცემისას დაცული იქნეს ბრძანებულების 48-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნები და დოკუმენტის გამოცემა უზრუნველყოფილი იქნეს ყოველი კალენდარული წლის ბოლოს.

2. **პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმის წარმოებისთვის** - საგრანტო ხელშეკრულებისა და ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმების საფუძველზე, დაწესებულების ახალ მისამართზე, საქმიანობისა და მართვის პროცესებში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულება სრულად აღიჭურვება ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესებისთვის აუცილებელი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, შიდა და გარე პერიმეტრი აღიჭურვება ვიდეო კონტროლის სისტემით. აღნიშნული ინდიკატორის შესრულებისთვის აუცილებელი ამოცანები დაწესებულებას შეტანილი აქვს შესაბამისობის გეგმაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პერსონალთან გასაუბრებით, მიმდინარე ეტაპზე, დაწესებულების მართვის პროცესებში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, როგორც დოკუმენტბრუნვის ისე საბუღალტრო საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით. აღნიშნული პროცესების მართვისთვის დაწესებულება იყნებს ელექტრონულ სისტემას e-flow-ს და „ორისს“. დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციისთვის იყენებს სოციალური ქსელებს, Google-ის პლატფორმას, კორპორატიული ელექტრონულ ფოსტას. ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის მართვაში ეფექტურად იყენებს „Microsoft Teams“, „Zoom“ პლატფორმებს. დოკუმენტაციას განათავსებს როგორც შიდა ქსელში/სერვერზე, ისე google drive პლატფორმაზე.

გარდა აღნიშნული რესურსებისა, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, დაინტერესებულ პირებთან/მხარეებთან კომუნიკაციისა და მათგან შემოსული ინფორმაციის მართვისთვის იყენებს პროგრამას „Bitrix“, რომელიც შესაძლებელს ხდის ყველა საკონტაქტო მონაცემის, მ.შ. კომუნიკაციის ისტორიის შენახვას, შემდეგ მათ დაჯგუფებას სხვადასხვა მაჩვენებელების მიხედვით და დამუშავებას. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, აღწერილი პრაქტიკა და ტექნოლოგიების გამოყენება მართვასა და სასწავლო პროცესებში, სრულად იქნება დანერგილი ახალ მისამართზეც.

საგრანტო ხელშეკრულებისა და ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმების, ასევე შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში, დაწესებულების ახალ მისამართზე (), უზრუნველყოფილი იქნება მართვის პროცესებში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება. შესაბამისობის გეგმით დაგეგმილი ამოცანების შესრულებისთვის განსაზღვრული ვადაა 20.11.2024 წ. არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ექსპერტების მიერ ინდიკატორი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.

3. პსდ-ს, პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანის უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებული აქვს „პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მუშაობის წესი“ (ბრძანება # 277131, 06.03.2024). შემუშავებული წესი შესაბამისია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 2021 წლის 17 თებერვლის N 11/ნ ბრძანების ,,პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ'' მოთხოვნების და მოიცავს საინფორმაციო სისტემაში შესატანი ინფორმაციის სახეებს, შინაარსსა და ვადებს, ასევე საინფორმაციო სისტემის ადმინისტრირების სხვა საკითხებს, მაგალითად როგორიცაა რეგისტრირებულ ინფორმაციაში ცვლილებების განხორციელებისა და სისტემიდან ინფორმაციის ამოღების წესებს. დაწესებულების მიერ გამოყოფილია რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელ პირი, რომელიც პასუხისმგებელია ასახული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე, ასევე ვადების დაცვაზე (მუხლი 7). დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, საინფორმაციო სისტემის მართვა იქნება ცენტრალიზებული და ახალციხის მუნიციპალიტეტის პერსონალის, პროგრამებისა და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების შესახებ ინფორმაციის შეტანას უზრუნველყოფს დაწესებულების რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი.

ფაქტობრივი გარემოებების, დაწესებულების წარმომადგენლებთან და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ პსდ-ს მიერ, პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანა უზრუნველყოფილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იქნება. შესაბამისობის გეგმით დაგეგმილი ამოცანების შესრულებისთვის განსაზღვრული ვადაა 20.11.2024 წ. არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ექსპერტების მიერ ინდიკატორი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.

4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან - აღნიშნულ ინდიკატორის მართვა, დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, გამომდინარე იქედან, რომ საქმისწარმოება და დოკუმენტბრუნვა იქნება ცენტრალიზებული, შესაბამისად ანგარიშგება და მაკონტროლებელი ორგანოებთან და დაინტერესებულ მხარეებთან ინფორმაციის მიწოდება ან უკუკავშირი განხორციელდება დაწესებულების საქმისწარმოების მენეჯერის მიერ. აღნიშნული ინდიკატორის მტკიცებულებების სახით, ვიზიტის დროს განხილული იქნა ასევე დაწესებულების მიერ საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროსა და პსდ-ის დამფუძნებლებთან მიმოწერა და ინფორმაციის მიწოდება საშტატო განრიგსა და სახელფასო ფონდის ფორმირებისა და ცვლილების შესახებ.

ფაქტობრივი გარემოებების, დაწესებულების წარმომადგენლებთან და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ პსდ-ს მიერ, უზრუნველყოფილი იქნება, საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან თანამშრომლობა, დროული ანგარიშგება და უკუკავშირი.

კრიტერიუმი შეფასება:
5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად - ინდიკატორები: „პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი“ (1), „პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის“ (2), „პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას“ (3), „პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან“ (4) - **არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ექსპერტების მიერ კრიტერიუმი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.**

დაწესებულებამ უზრუნველყოს ახალ მისამართზე კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესისა და თანამედროვე ტექნოლოგიების, ასევე ანგარიშგებისა და უკუკავშირის სისტემის დანერგვა/ამოქმედება. აღნიშნული ღონისძიებების დაკმაყოფილება დაწესებულებამ უზრუნველყოს საგრანტო ხელშეკრულებისა და ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმების, ასევე შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადების დაცვით, არა უგვიანეს 2024 წლის 20 ნოემბრისა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების დირექტორის ბრძანება MES 6 22 0001680868 „ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2ის“ კოლეჯის საუწყებო არქივის დებულების, საქმეთა ინდივიდუალური ნომენკლატურის და მუდმივმოქმედი საექსპერტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ (30.12.2022)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2ის" არქივის საექსპერტო კომისიის სხდომის ოქმი ოქმი N 01-01, 24.01.2024
3. დაწესებულების დირექტორის ბრძანება MES 7 22 0001617823 „ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ ,,კონსტრუქტ2ის" საუწყებო არქივის შექმნისა და მასზე პასუხისმგებელი პირის გამოყოფის შესახებ", 16/12/2022
4. „ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ ,,კონსტრუქტ2ის" 2022 წლის საქმეთა ინდივიდუალური ნომენკლატურა
5. დაწესებულების დირექტორის ბრძანება MES 1 22 0001617845 „ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ ,,კონსტრუქტ2ის" საექსპერტო კომისიის შექმნის შესახებ", 16/12/2022
6. დაწესებულების დირექტორის ბრძანება MES 5 24 0000049885 „ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ ,,კონსტრუქტ2ის'' დირექტორის 2022 წლის 16 დეკემბრის N 617845 ბრძანებაში ცვლილების განხორციელების შესახებ" 22.01.2024
7. ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2ის" საქმისწარმოების წესი
8. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მუშაობის წესი (06.03.2024)
9. პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები (09.10.2020)
10. პსდ-ის მიმოწერა საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროსთან.
11. პსდ-ს შესაბამისობის გეგმა
12. დაწესებულების პერსონალთან გასაუბრების შედეგები

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. ვებ გვერდის შეუზღუდავად ფუნქციონირებისთვის დაწესებულებას, დამფუძნებლის მიერ, სს „m^2 უძრავი ქონების" (ხელშეკრულება #7-05, 11.03.2019, სს-ის ს/კ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

204517399) უსასყიდლოდ გადაეცა დომენი (construct2.ge) და ჰოსტინგი. ხოლო 2021 წლის 29 აპრილიდან პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდის დომენი, რეგისტრირებულია შპს „თეთრი კვადრატის“ (ს/ნ 404618767) სახელზე.

ვებ-გვერდზე განთავსებულია პსდ-ს შესახებ აუცილებელი ინფორმაცია: მისია, ხედვა ღირებულებები, პსდ-ს სტრუქტურა, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, წლიური ანგარიში, სხვ, მარეგულირებელი აქტები, საგანმანათლებლო პროგრამები, პროგრამების ფარგლებში პროფესიების აღწერა, დასაქმებისა და კარიერის დაგეგმვის შესახებ ინფორმაცია და ა.შ. ვებ-გვერდი ასევე მოიცავს ხშირად დასმული კითხვების რუბრიკას, რომელიც წარმოადგენს ერთგვარ გზამკვლევს პსდ-ის აპლიკანტებისთვის. საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაცია განთავსებული როგორც სპეციალურ რუბრიკებში, ისე კატალოგში.

ვებ-გვერდს აქვს სიახლეების რუბრიკა. სიახლეების განთავსება ატარებს სისტემატურ ხასიათს, ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიწოდების ინტერესს, რაზეც პსდ-ს შიდა რეგულაციებით პასუხისმგებელია საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი. პსდ-ს სოციალურ ქსელსა და ვებ-გვერდზე განთავსებული ბოლო ინფორმაცია თარიღდება 23.07.2024-ით და ეხება, „კომპიუტერული ქსელისა და სისტემების“ პროგრამის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საფეხურის სწავლის შედეგები, კურსდამთავრებულთა პარტნიორ კომპანიებში სტაჟირებას.

ვებ-გვერდზე ინფორმაცია განთავსებულია ლოგიკურად დაჯგუფებული ცალკეულ რუბრიკებად, რაც ამარტივებს ინფორმაციის მოძიებასა და ნავიგაციას. ინფორმაცია განთავსებულია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით.

ახალი ლოკაციის შესახებ ინფორმაცია ამ ეტაპზე ასახულია მხოლოდ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში, სადაც სამომავლო გეგმების სახით შეტანილია ინფორმაცია საგრანტო პროექტის განხორციელებისა და ლოკაციის შესახებ, ასევე იმ საგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების შესახებ, რომელთა განხორციელებასაც გეგმავს დაწესებულება ახალციხის მუნიციპალიტეტში. ვებ გვერდზე, ინფორმაცია ახალი მისამართის, საგანმანათლებლო პროგრამებისა და პერსონალის შესახებ, განთავსდება ახალი მისამართსა და პროგრამებთან დაკავშირებით, პსდ-ის ავტორიზაციის საბჭოს შესაბამისი გადაწვეტილების შემდეგ.

პსდ-სა ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს. ინდიკატორი პსდ-ს ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისია.

3. მისიის თანახმად დაწესებულების მიზანია“ შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად საზოგადოებისთვის, სამშენებლო მიმართულებით, ხარისხიანი პროფესიული განათლების მიწოდებით კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება და დასაქმება, ასევე, პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და პოპულარიზაცია“. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება ქართულ ენაზე. თუმცა დაწესებულების ვებ-გვერდზე, დაინტერესებული მხარეებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია (დაწესებულების, მენეჯმენტის, ინფრასტრუქტურის, პროგრამის ხელმძღვანელების შესახებ და ასევე პროგრამების დასახელებები) ასევე განთავსებულია ინგლისურ ენაზეც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას - ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ინდიკატორი პსდ-ს ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისია.

4. პსდ-ის ახალი წარმომადგენლობისა და აღნიშნულ ლოკაციაზე განხორცილებული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის განთავსება ვებ გვერდზე დაწესებულების მიერ იგეგმება ძირითადი ლოკაციიდან დაწესებულების წარმომადგენლებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის განმარტებით, მუდმივი კომუნიკაცია ექნებათ ახალციხის მუნიციპალიტეტის მენეჯერსა და პერსონალთან, რაც უზრუნველყოფს საჭირო ინფორმაციის გაცვლასა და ოპერატიულობას.

შესწავლილი გარემოებების გათვალისწინებით, პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. ინდიკატორი პსდ-ს ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისია.

5. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას. ვებ-გვერდზე განთავსებული კატალოგი მოიცავს დაწესებულებისა და საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციას. კატალოგით დაინტერესებული მხარეებისთვის გაზიარებულია დაწესებულების მისია, ხედვა, ღირებულებები. კატალოგში ასახულია პროგრამების შესახებ ყველა საჭირო ინფორმაცია (პროგრამის დონე, კრედიტები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის შინაარსი, მისაღწევი სწავლის შედეგები და შეფასების მეთოდები). კატალოგი ილუსტრირებულია დაწესებულების ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო-მასალით. კატალოგი ასევე მოიცავს სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაციას, სადაც გადმოცემულია USAID-ის პროგრამის "დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის" ფარგლებში დაწესებულების მიერ დაგეგმილი აქტივობების შესახებ როგორც იმერეთის რეგიონში, ისე ახალი წარმომადგენლობის გახსნის ადგილზე, კერძოდ ახალციხის მუნიციპალიტეტში დაგეგმილი საგანმანათლებლო მომსახურებისა და პროგრამების დანერგვა-განხორციელების შესახებ.

საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ. ინდიკატორი პსდ-ს ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისია.

6. **პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, რაც დასტურდება** იმით, რომ ვებ გვერდზე წარმოდგენილია 2024 წლის საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი. კატალოგი სხვა ინფორმაციასთან ერთად მოიცავს ინფორმაციას/ანონსს ახალციხის მუნიციპალიტეტში წარმომადგენლობისა და საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალს, რომელთა განხორციელებასაც გეგმავს დაწესებულება ახალ მისამართზე. **ინდიკატორი პსდ-ს ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისია.**

7. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების (სოციალური ქსელები, ვებ-გვერდით შემოსული შეტყობინება/წერილები, შიდა გამოკითხვები, პროფესიული განათლების სისტემის მიერ განხორციელებული კვლევები და სხვა) შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად - დაწესებულებას კრიტერიუმი შეფასებული აქვს „მეტწილი" შესაბამისობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერები პერიოდულად აწარმოებენ კვლევებს. საქმიანობისას და დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაციისას, ასევე იყენებენ პროგრამას „Bitrix“, რომლის გამოყენებითაც ხდება ყველა კონტაქტისა და ინფორმაციის პირველადი მონაცემების ბაზის ფორმირება, რის საფუძველზეც, პერსონალის ახორციელებს შემოსული ინფორმაციის დამუშავებას და შემდეგ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას ადმინისტრაციასთან საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვის მიზნით. დაწესებულება ასევე, ჩართულია ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს კვლევებში. მიღებულ უკუკავშირის საფუძველზე, ასევე იგეგმება შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებები, რაც აისახება სამოქმედო გეგმებში. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, აღწერილი პრაქტიკა და ტექნოლოგიების გამოყენება სრულად იქნება დანერგილი პსდ-ის ახალ მისამართზეც.

ფაქტობრივი გარემოებებისა და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ პსდ-ს მიერ ახალ მისამართზე, უზრუნველყოფილი იქნება, საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირი და მისი გამოყენება პსდ-ის საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისი საზოგადოებასთან ურთიერთობის აღნიშნული მექანიზმების ახალ მისამართზე დანერგვა, საგრანტო ხელშეკრულებისა და ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმების, ასევე შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადების დაცვით, არა უგვიანეს 2024 წლის 20 ნოემბრისა.

კრიტერიუმი შეფასება :

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას - ინდიკატორი „საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად“ (6) - **არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ექსპერტების მიერ კრიტერიუმი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.**
დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისი საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირის საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად გამოყენების მექანიზმებისა დანერგვა ახალ ლოკაციაზე. აღნიშნული ღონისძიებების გატარება უზრუნველყოს საგრანტო ხელშეკრულებისა და ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმების, ასევე შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადების დაცვით, არა უგვიანეს 2024 წლის 20 ნოემბრისა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. შპს „დომენები ჯი“ #01/0724 კორესპონდენცია დომენის რეგისტრაციის შესახებ (22.07.2024)
2. დომენისა და ჰოსტინგის უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე ხელშეკრულება #7-05 (11.03.2029)
3. დაწესებულების ვებ გვერდი https://construct2.ge
4. პსდ-ს შესაბამისობის გეგმა
5. დაწესებულების პერსონალთან გასაუბრების შედეგები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი
დანართი 2. შენობის აზომვითი ნახაზი
დანართი 3. საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროსა და ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-ს მიმოწერა.

....19.08.2024.....
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: